№ 100 მაისი 14, სამშაბათი 1891 მაისი 14, სამშაბათი № 100

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია“ პირველი მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 7 მანათი და 25 კაპ.

---

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანეს-ძე მუსხელიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 მაისისას, მისის მეუღლის ანნა ბესარიონის ასულის გარდაცვალების წლის თავზედ, დილის 10 საათზედ, დიდუბის ეკკლესიაში გადახდილი იქნება წირვა განსვენებულის სულის მოსახსენებლად და პანაშვიდი.

(2—1)

---

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ბბ-ნ დამფუძნებელთა წევრებისა და მსესხებლების საზოგადო კრებას, 14 მაისისთვის დანიშნულს, წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად, გარდა უკვე გამოცხადებულ მოხსენებათა სხვა მოხსენებაც ბანკის სესხის გაიაფებისა და სესხის მიცემის წესის შეცვლის შესახებ მსესხებელთა სახეიროდ და სასარგებლოდ.

---

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე 79 §-სა წლიური მორიგი საზოგადო კრება ბ. ბ. ხსენებულის ბანკის წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგომში ოცდაერთს ამა მაისისათვის, დილით თერთმეტს საათზედ.

საზოგადო კრების გასასახილველი საგნები არის:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშის გასულის 1890 წლისა.

ბ) განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარის წლისამებრ

გ) განაწილება იმ თანხისა, რომელიცა წმინდა მოგებიდან გადადებულია საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

დ) შეცვლა და დამტკიცება ზოგიერთთ ბანკის წესდების §§.

ე) მოხსენება ბანკის საქმეთა მართვაზე.

ვ) ზედამხედველი კომიტეტის დასკვნა 3 ივლისის გასულის 1890 წლისა ბანკის გამგეობის თავმჯდომარის კოლლეჟსკი ასესორის ნიკოლოზის ჩიკვაიძის პასუხის გებაზე სამსახურისამებრ დამნაშაობის გამო, რომელიცა დაჰრჩა დაუხილველად ბანკის წევრთა მოულოდნელის კრების მიერ 30 ოქტომბერს იმავე 1890 წლისა.

ზ) ამორჩევა რიგით გამომსვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, გამგეობის წევრის მოადგილესი და ორთა წევრთა ზედამხედველის კომიტეტისა.

---

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმორჩილესად სთხოვს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამა 1891 წლის 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1890 წლის პირველ აპრილიდგან 1881 წლის პირველ აპრილამდე; მოხსენება გამგე კომიტეტისა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის აწინდელს მდგომარეობაზედ.

2) ხარჯთ-აღრიცხვა ამ 1891 წლის პირველ მაისიდგან მომავალ 1892 წლის პირველ მაისამდე.

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ მუშტაიდის ბაღში „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულმა ლატარია-ალეგრიმ და სეირნობამ ძალიან მხიარულად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. ლატარიის ბილეთებს თითქმის იტაცებდნენ, ისეთის ხალისითა და სიამოვნებით ყიდულობდნენ, რის გამოც ბილეთები ძალიან ჩქარა გაიყიდა, ისე რომ ნახევარი იმდენიც რომ ყოფილიყო, სულ გაიყიდებოდა. ამინდიც მშვენიერი იდგა და, რასაკვირველია, ამანაც ხელი შეუწყო ლატარიის საქმეს. დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ გვექნება.

*** შაბათს, ამ თთვის 11, ნაშუადღევის სამს საათზე რკინის გზის სადგურზე, ტფილისში, შემდეგი უბედურება მოხდა. იმ დროს, როდესაც უმთავრესს ლიანდაგზე იდგა საქონლის და ხალხის მატარებელი, № 3 ლიანდაგზე მიდიოდა სამგზავრო მატარებელი. ლიანდაგი წამხდარი აღმოჩნდა და ორი საქონლის ვაგონი გადმოვარდა და ჩათხარა გზა ერთ არშინამდე. ამ დროს იქითკენ მიდიოდა ვიღაცა კაცი, რომელსაც გაქანებული ვაგონი ზედ დაეჯახა, ბურთივით გადაისროლა ლიანდაგიდგან და დაამავა.

*** კვირას, ამ თთვის 12, ღამით, ტფილისში ჩამოიყვანეს ერთი მუშა, რომელსაც სამტრედიას სადგურზე ვაგონიდამ ბოძების ჩამოწყობის დროს მარცხენა ფეხი მოსტეხია.

*** მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი, როგორც შევიტყეთ, პეტერბურგში ამ თთვის 25 გაემგზავრება უწმინდესის სინოდის სხდომაზე დასასწრებლად და ტფილისში ენკენისთვეში დაბრუნდება.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო ოლგა დიმიტრის ასულის ბაქრაძისაგან ლატარია-ალეგრისთვის ერთი ბალიში და ერთიც პორტფელი.

*** კვირას, 12 მაისს, მეორე გიმნაზიაში მოსწავლეთა ვარჯიშობა იყო — საგიმნასტიკო და სამხედრო. ნაშუადღევის 1-ლს საათზე გიმნაზიის ეზოს მხრით შენობის ორივე სართულის ბალკონი მთლად გაჭედილი იყო მოპატიჟებულის სტუმრებითა. ამათ შორის იყვნენ საპატიო სტუმრებიც.

დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ამ გიმნაზიაში ესეთი ვარჯიშობა შემოიღეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ გიმნასტიკაცა და სამხედრო ვარჯიშობაც კარგად შეუსწავლიათ მოსწავლეებს, განსაკუთრებით გიმნასტიკა. სასიამოვნო სანახავი იყო, როცა გიმნაზიის ეზოში რიგზე დამწკრივებული შეგირდები გიმნასტიკის ოსტატის ხელ-მძღვანელობით მწყობრად ასრულებდნენ დანიშნულს პროგრამას. ამ პროგრამაში საყურადღებო იყო ერთი ვარჯიშობა, ნიმუში იმ ვარჯიშობისა, რომელსაც აასრულებენ ამ წლის 17 ივნისს ქალაქს პრაგაში (ჩეხიაში) საგიმნასტიკო საზოგადოებათა კრებაზე. მთელი გიმნაზიის ეზო დახაზული იყო და ზედ მწყობრად დამწკრივებულნი იყვნენ მოსწავლენი. ოსტატის ხელმძღვანელობით ყმაწვილებმა აასრულეს სხვა-და-სხვა მოძრაობა სხეულისა და სხეულის ნაწილებისა.

დასასრულ გენერალ-ლეიტენანტმა ერნესტმა „ცერემონიის მარშით“ ჩაატარა მხარზე თოფ გადებული შეგირდები და ისინიც, რომელთაც გიმნასტიკა აასრულეს. გენერ. ერნესტმა მადლობა გამოუცხადა სამხედრო ვარჯიშობის ოსტატს ბ-ნ კაპიცას და გიმნასტიკის ოსტატს ბ-ნ გრუმლიკს, აგრეთვე მემუსიკეთა დასს გიმნაზიის შეგირდებისას, რომლის მასწავლებელი ბ-ნი მაშნერია.

*** თავისს დროზედ ძმათა დარჩიებმა დიდი შიში და ცახცახი მიაყენეს გურიის მაზრას და იმის ახლო-მახლო ადგილებს. სიმონი და ვასილ დარჩია გავარდნილი იყვნენ მას შემდეგ, რაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ ქურდობის თაობაზედ, 7 მარტს 1839 წ. 4 წლით კატორღა მიუსაჯა. ეს გადაწყვეტილება არ მოუყვანიათ სისრულეში, რადგან იმავე წლის მაისის თთვეში დარჩიები ოზურგეთის საპატიმროდამ გაიქცნენ. 7 ენკენისთვეს, სოფ. ჯუმათში, საკუთარს სახლში, პოლიციამ მოჰკლა ერთი ძმა ვასილ დარჩია, ხოლო სიმონმა თავი დააღწია, გაიქცა და მას აქედ, თუმცა ძალიან ცდილობდნენ მის დაჭერას, ასე რომ საგუბერნიო ადმინისტრაციამ მთელი მაზრა ფეხზე დააყენა, მაგრამ ამაოდ. შარშან, თებერვლის 9, საღამოს ლანჩხუთის პოლიციის ბოქაულს ჯაფარიძეს, სიმონ გერახანიძემ გამოუცხადა, რომ სიმონ დარჩია იმალება ჩიბათის საზოგადოებაში ან ნესტორ ჭყონიასთან და ან სიმონ კუნჭულიასთანაო. საჩქაროდ მივიდნენ ხსენებულს სახლში, 25 კაციც თან წაიყვანეს და შემოესიენ სიმონ კუნჭულიას სახლს. გამოვიდა სიმონას ძმა გულვან კუნჭულია და გამოუცხადა პოლიციის ბოქაულს, რომ სიმონა დარჩია აქ-კი არა — სოფ. ლესაბს კაკაბა კუნჭულიასას იმალებაო. გათენებისას ბ-მა ჯაფარიძემ შეჰკრა კაკაბას სახლი, საიდამაც გამოვიდა სახლის პატრონის ცოლი ქრისტინა და გამოუცხადა ბოქაულს, მართალია, არის ჩვენს სახლში ვიღაც უცხო კაცი, მაგრამ ვინ არის, არ ვიციო. ბევრი ურჩიეს დარჩიას დაგვენებდიო, მაგრამ ამის მაგიერ ის ჩუმად გაიპარა სახლიდამ.

მოხსენებულ გარემოებათა გამო ნესტორ ჭყონია და ქრისტინა კუნჭულია პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ამ წლის 17 მარტს მიუსაჯა: ა) ნესტორ ჭყონიას ყოველის ღირსების ჩამოხდა და ტომსკის გუბერნიაში (ციმბირში) გადასახლება; ბ) ქრისტინე კუნჭულიას ღირსების ჩამოხდა და ერთის წლით დაპატიმრება.

ეს საქმე ამ მოკლე ხანში ტფილისის სამოსამართლო პალატაში იქმნება გარჩეული.

*** ბრეითი (შორაპნის მაზრა): ჩვენი სოფელი თითქმის რაჭის საზღვარზეა გაშენებული და ორ ნაწილად განიყოფება ერთის ხევით, რომელიც თითქმის ზედ შუაზე ჩამოუვლის ამ სოფელს: გაღმა და გამოღმა ხრეითში სულ ოთხასამდე კომლი მცხოვრები იქნება. აქ უფრო მეტი აზნაურობაა და აქამომდე ერთი სასწავლებელიც არ ჰქონდა, მაგრამ დღეს ბედმა გაუღიმა ჩვენს საზოგადოებას და სოფლის ერთს ნაწილში, სახელდობრ სალოლაძეო უბნის ეკკლესიასთან, უკვე დაარსდა სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელი. ამის მადლობელი უნდა ვიყოთ ჩვენის მღვდლის მიხელიძესი, რომელმაც თავისის ხარჯით სასკოლო სახლი ააგო, წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები გამოიწერა. დღეს ამ სკოლაში 43 მდე მოსწავლე ირიცხება. ეჭვი არაა ამათი რიცხვი კიდევ იმატებს.

მეორე ხრეითშიაც აპირებენ სკოლის გამართვას. სახლის აგებას კიდევაც შეუდგნენ.

*** სოფ. შროშა: მრავალ საზოგადო სასარგებლო საქმეთა შორის, მე მგონია, ის უფრო საყვარელი და პატივისცემითა, რომლის ნამყოფის გემებასაც უფრო ადრე მოესწრება საზოგადოება. უანგარო სიყვარულისა და პატივისცემის ღირსია ჩვენს დროში ამ გვარის ნაყოფის მომტანი ადამიანი, რადგან იგი არა თუ მარტო თავისს თავს აყვარებს თავისს მშობელ ქვეყანას, არამედ უთქმელად ჰპერგავს საზოგადოებაში პატივისცემას მთელის განათლებულის ახალდობისადმი. ამ ნაირს ორ გვარს სამსახურს უწევს დღეს ჩვენს ქვეყანას ერთი ჩვენი ძამული შვილი მკურნალი სამსონ ბესარიონისძე თოფურია. ერთი წელიწადია მას აქედ, რაც ბ-ნმა თოფურიამ ქუთაისს კერძო საავადმყოფო გაჰმართა და ამ ერთის წლის მოღვაწეობამ მისი სახელი პატივისცემით სახსენებელი გაჰხადა მთელს ზემო იმერეთში. ეს არც გასაკვირველია.

თუ მეხსიერება არა მღალატობს, ამისთანა თვალსაჩინო სასარგებლო საქმე იმერეთში უმაღლეს სწავლა მიღებულს ყმაწვილებს შორის ჯერ არავის გაუწევია.

*** ქარელი: თთვის შვიდს, მღამოს ათს საათზე ს. ბელში მცხოვრებელის გლეხის ლომიტაშვილის სახლში შეცვივნულ სამი ავაზაკი; წაუქცევიათ საბრალო ლომიტაშვილი, ხანჯლით თავში სამს ალაგას

დაუჭრიათ და მერე კეტებით იქამდინ უცემიათ, რომ იმის გადარჩენა ძნელია. შემდეგ ლომიტაშვილის ცოლიც წაუქცევიათ, ყელში ხანჯლის წვერი დაუჭერიათ და უთქვამთ: „ეხლავე დაგკლავთ, თუ არ იტყვი, სადა გაქვთ შენახული ფულიო". ლომიტაშვილის ცოლსაც უპასუხნია: „ხუ-თუმან ნახევარია ამ სკივრშია, ამოიღეთ, მეტი ჩემს ბედობაზე არა გამაჩნია-რაო". რასაკვირველია, ავაზაკებსაც ის უნდოდათ. ამოიღეს ფული და კიდევ ეძებს, იქნება ჰქონდეთო, მაგრამ ვერა იპოვეს-რა და გაუდგნენ თავიანთს გზასა. თუმცა ლომიტაშვილს სამოც თუმნამდე ჰქონია დამალული, მაგრამ არ გამოტეხილა და ავაზაკებსაც ვერა უპოვნიათ-რა.

*** სოფ. დღვერეთი: (ქუთაისის მაზრა) ავაზაკები შეუცვივდნენ სახლში მოხუცს მღვდელს შალიკიანს და გაძარცვეს. წაიღეს ოც-და-ათი თუმანი, სულ ძველი მანანათიანი. მღვდელი დაჭრილია. ეს იყო ოც-და-სამს აპრილს.

*** სოფ. ნაცხზაო (სენაკის მაზრა): ამ რამდენისამე თთვის წინად, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენის სოფლიდამ სხვათა შორის გწერდით, თუ რამდენად გათამამებულნი იყვნენ ქურდ-ბაცაცები ჩვენსკენ, ეხლაც ამ ნაირივე ამბავი უნდა გაუწყოთ. არ იქმნა და ქურდობა არ მოისპო ჩვენსკენ. ცოტა ხანს მოსვენებულები ვიყავით, მშვიდობით გვეძინა ღამ-ღამე, ვფიქრობდით, ეს-ეს არის ახლა-კი ღმერთმა გაიშველაო, და ის-კი არა თუ კვლავ დაიწყეს ქურდებმა თავისი ოინები. რაც გაზაფხული დადგა, მას აქეთ კვირა არ გავა ისეთი, რომ ძინდვრად გაშვებული კარგი ცხენები არ მოიტაცონ. წარსულ თთვის უკანასკნელს რიცხვებში სამი რჩეულ-რჩეული ცხენი მოიპარეს და მათი კვალიც დღესაც არ არის აღმოჩენილი.

არც სხვაფრივ ვიყავით მოსვენებულნი; რაც ზამთარი დადგა, მას აქეთ, ჩვენსკენ გამოულეველი იყო სხვა-და-სხვა ავადმყოფობა. უფრო ხშირი წითელა იყო, რომელმაც მრავალი გამოასალმა წუთის სოფელს დიდი თუ პატარა.

*** ქ. პიატიგორსკი: საითაც-კი კაცი მიიხედ-მოიხედავთ, თითქმის ყველგან ჰნახავთ ათი-ათას ნაირს სხვა-და-სხვა ძვირფას ისტორიულსა და არხეოლოგიურს ნივთს. ვინ მოსთვლის, რამდენს წელიწადს გაუვლია და გაივლის კიდევ, თუ ასე გულ-გრილად შევყურეთ, ვიდრე შევკრებავთ და თავი თავს მოვუყრით გაფანტულ-გაფანტულს ძვირფას ნივთებს. სხვათა შორის ქ. პიატიგორსკის ტაძარში არის საქართველოს ღვთისმშობლის ხატი, რომელიც შემკულია და მოჭედილი მრავალის ძვირფასის თვალ-მარგალიტით; მარგალიტებით, ზურმუხტებით, და ალმასებით. როგორც სჩანს ზედ-წარწერიდგან, ეს ხატი ვიღაც მანოენკოს სახლობას შემოუწირავს ტაძრისათვის. აი თვით ეს წარწერა ამ ღვთის მშობლის ხატისა: „1885 года грузинскаго бого матерь даръ семейства маноенко году котори иконь чтилось болѣе полторо сто годъ. ვინ არის ეს ხსენებული მანოენკო, ანუ საიდგან შეუძენია ეს ძვირფასი ხატი?! ჯერ ჯერობით არ ვიცით, თუმცა ბევრი ვიკითხე, მაგრამ მხოლოდ ეს-კი შევიტყე, რომ მანოენკოს ქალი დღესაც ცოცხალია თურმე და პიატიგორსკში სცხოვრობს. არ იქნება ურიგო ჩვენმა ისტორიისა და არხეოლოგის მეთვალყურემ ამ ძვირფასს ნივთს ყურადღება მიაქციოს.

ვნახეთ აგრეთვე ერთი ძველებური ხმალი, აქაურ ბ. ტ—ვის ხელში, რომელსაც ვიღასაგანაც შეუძენია. ხმალზედ არის გამოყვანილი დედოფლის თამარისა და მთვარის სახე. იქავე ქართულის ასოებით აქვს წარწერა ხმალს, სიტყვა-კი არაფერი არა გამოდის-რა ქართულად. აი ეს წარწერა:

დქთუზსსვ
მთსრ და მახ
—
დქთიძიჯი
შუნდთსებ.

*** ახალ-სენაკი: 10 ამ თთვეს ჩვენს დაბაში შემდეგი სამწუხარო ამბავი დატრიალდა: საღამოს ცხრა საათზედ ცეცხლი გაჩნდა, და ორის საათის განმავლობაში 11 დუქანი დაიწვა თავისის სამზარეულოებით. კიდევ კარგი, რომ ცეცხლის გაჩენის დროს ქარი არა ჰქროდა, თორემ, თქვენი მტერი, ჩვენი დაბა მთლად ცეცხლის მსხვერპლი შეიქნებოდა, ამ უბედურობის დროს, თუმცაღა ხალხი ბევრი იყო და ბევრნიც სცდილობდნენ ცეცხლის შეკავებას, მაგრამ საჭირო იარაღების უქონლობისა გამო, ბევრს ვერას ახერხებდნენ. კარგი იქნება შემდეგისთვის მაინც შეიძინოს ჩვენმა დაბამ ცეცხლის საქრობი იარაღი, რომ ამ გვარს შემთხვევაში გამოიყენოს ხოლმე.

*** 12 მაისს, შუადღისას, ტფილისის მცხოვრებელი სარქის მალესტას ძე გორგიჯანოვი ტივის ხეებიდამ თევზაობდა და მადის გადაგდების დროს მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო.

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მორიგი კრება

8-ს მაისს სხდომა დაიწყო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მორიგმა კრებამ. პირველი დღე სხდომისა თავად-აზნაურობამ ფიცსა და ხმების მოსმენას მოანდომა და ამიტომ კრების ამბავი მეორე დღიდგან დავიწყეთ. მეორე სხდომაზე თავად-აზნაურობამ დაადგინა, დეპეშით უქვეშევრდომილესნი გრძნობანი განეუცხადოთ ხელმწიფე იმპერატორს მისის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის სასწაულებრივ ხიფათისაგან გადარჩენის გამოო; შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ თითქმის არც ერთი შუამდგომლობა, რომლითაც თავად-აზნაურობამ უმაღლესს მთავრობას მიჰმართა, არ შეუწყნარებიათ და უყურადღებოდ დაუტოვებიათო. სახელდობრ, შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გურიაში გაუქმებულ იქმნას არა ჩვეულებრივი საგანგებო ზომები, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად შემოღებული იყო ოზურგეთის მაზრაში ქურდობა-ავაზაკობის მოსასპობლად, მისს უდიდებულესობას არ შეუწყნარებიაო.

თხოვნა მასზედ, რომ თავად-აზნაურობას ან სრულიად ეპატიოს რამდენისამე წლის ადგილ-მამულის ბაჟი, ანა და ამ ბაჟის დანაშთი (недоимка) შეუწყნარებელ იქმნა თურმე იმიტომ, რომ წარსულს წელს მთავარ-მართებელს კავკასიისას შუამდგომლობა წარუდგენია მასზედ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობას ადგილ-მამულის ბაჟი შეუმცირონ (დესიატინაზე ოთხი კაპეიკი, ესე იგი ქცევაზე ერთი კაპეიკი და ნახევარი). ამის მიზეზით თავად-აზნაურობის თხოვნა შეუჩერებიათ იმ დრომდე, ვიდრე ბ-ნის მთავარ-მართებლის შუამდგომლობა ასე თუ ისე არ გადაწყდება. რაც შეეხება იმას, რომ თავად-აზნაურობამ სთხოვა სინოდის კანტორის (синодальная контора) განყოფილების გამართვა ქუთაისში, ამის თაობაზე იუწყებიან, რომ ეგ საქმე მინდობილი აქვს უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორსაო. ამ სათხოვართა გარდა თავად-აზნაურობას ისიც უთხოვნია, რომ იმათ, ვინც მეტრიკის წიგნების შემოღებამდე დაბადებულან, მეტრიკის მოწმობა არ მოეთხოვოსო. ჯერ-ჯერობით არც ეს თხოვნა შეუწყნარებიათ; ხოლო თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს, ხელ-მეორედ მიჰმართოს იმავე თხოვნით მთავრობას და უფრო საფუძვლიანად გაურკვიოს თავისი სათხოვარი.

რამდენიმე სხვა თხოვნა ეხებოდა ზოგიერთა თავად-აზნაურთა განთავისუფლებას სასჯელისაგან და სამშობლოს დაბრუნებას. არც ერთი ამ გვარი თხოვნა არ შეუწყნარებიათ. სათხოვარი დუხუ და ხუტუნია მიქელაძეებისა და სეფე გამყრელიძის დაბრუნების შესახებ, რომლებიც სისხლის სამართლით არიან დასჯილნი, ტფილისიდგანვე დაუბრუნებიათ, რადგანაც მთავარ-მართებელს ეგეთის სათხოვრების წარდგენა საჭიროდ არ დაუნახავს. ამ გვარადვე არ შეუწყნარებიათ შუამდგომლობა მასზე, რომ გადასახლებულ იქმნას ქუთაისის გუბერნიდგან ბ-ნი დ. ჩხიკვიშვილი, რომელიც დიდის სარგებლით ფულს ასესხებს და ამით ხალხს ავიწროებს და სძარცვავსო.

ამ სათხოვართა გარდა კიდევ შემდეგი უნდა მოვიხსენიოთ. შარშანდელმა საგანგებო კრებამ თავად-აზნაურობისამ დაადგინა, სთხოვოს განთავისუფლება და დაბრუნება ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტების ბ-ნ გ. ლასხიშვილისა და კ. ქესხისა. ეს სათხოვარი ბ-ნს მთავარ-მართებელს წარუდგენია პეტერბურღს, მაგრამ ბ-ნს შინაგანს-საქმეთა მინისტრს არ შეუწყნარებია, რადგანაც ამ გვარ საქმეების შეხება თავად-აზნაურობას არა მართებსო.

ამ ამბების მოხსენების შემდეგ ზოგიერთებმა ჩამოაგდეს ლაპარაკი მასზედ, რომ ვსთხოვოთ უმაღლესს მთავრობას ბ-ნ ა. ლორთქიფანიძისა და იაშვილის ციმბირიდგან დაბრუნებაო, რომელთაგან პირველი ხნიერი და ავადმყოფი კაციაო. ამის გამო ბ-ნმა კ. ბაქრაძემ მოკლე სიტყვით მიჰმართა კრებას და მოახსენა, რომ სხვა-და-სხვა დამნაშავის განთავისუფლებასა და დაბრუნებაზე მეტისმეტად უხვნი ვართ; იმას-კი არა ვფიქრობთ, ვისთვისა და რასა ვთხოულობთ; მთავრობაც მაგ გვარს თხოვნებს უყურადღებოდ სტოვებს და ამით ჩვენც გვაკლდება პატივი და ღირსება და იმათაც ვერა ვშველით, რომლებისათვისაც ვცდილობთო. ამიტომ საჭიროა, ან მეტის-მეტად ფრთხილად ვეპყრობოდეთ ამ გვარს საგნებს, ან და ერთხელვე თავი დავანებოთ, ბოლო მოვუღოთ შენდობისა და შეწყალების სათხოვარს მით ჩვენი სიტყვა და ღირსება დავიცვათო. ამავე საგანზე და თითქმის ამავე აზრით ილაპარაკეს ბბ. კ. ლორთქიფანიძემ და ვ. ქლენტმა; კრებამაც დაადგინა, სათხოვარი ლორთქიფანიძის შესახებ დრომდე უყურადღებოდ დასტოვოს, ხოლო იაშვილის გამო სრული უარი განაცხადა.

ამ სხდომის დასასრულ წაკითხულ იქმნა მოხსენება თავ. დ. თუმანიშვილისა ელევატორის გამართვის შესახებ ფოთში. თუმანიშვილის აზრით, საჭიროა ელევატორის გამართვა თავად აზნაურობამ ითავოს. თავისი აზრი ბ-ნმა თუმანიშვილმა სიტყვიერადაც მოახსენა კრებას; სხდომა იმით დასრულდა, რომ თუმანიშვილის აზრისა და პროექტის ვრცლად მოსმენა და განხილვა მეორე დღემდე გადაიდო.

### 10 მაისს

ბ-ნმა თუმანიშვილმა კიდევ უფრო ვრცლად მოახსენა საზოგადოებას თავისი აზრი,, ხოლო იმის გადაწყვეტა, შეუძლიან თუ არა მთელს თავად-აზნაურობას კანონის ძალით ელევატორის გამართვა. გადაიდვა. შემდეგს სხდომაზე თავ. ი. მიქელაძემ თხოვნა მიართვა თავმჯდომარეს კრებისას თავისის ძმის კ. მიქელაძის დაბრუნების შესახებ; ამ თხოვნასთან ერთად მოხსენდა კრებას გ. ჩიჩუას სათხოვარი მასზედ, რომ მთავრობამ, რომელმაც სრულიად განათავისუფლა სასჯელიდგან და სამშობლოს დააბრუნა, წინანდელს უფლებაში აღადგინოს იგიო. ერთი წულუკიძის ქვრივი თხოულობს, რომ თავად-აზნაურობამ იშუამდგომლოს მთავრობასთან იმის შვილის განთავისუფლების თაობაზე, რომელიც ციმბირს გაგზავნილია კაცის გაძარცვისათვის. კ. მიქელაძისა და ჩიჩუას შესახებ კრებამ, სხვა-და-სხვა მოსაზრების გამო, შესაძლოდ დაინახა შუამდგომლობა, ხოლო სამისავე საქმე შემდეგის სხდომისათვის გადაიდო.

### 11 მაისს

სხდომა დაიწყო მით, რომ დაადგინეს, კენჭით გადასწყვეტონ კ. მიქელაძისა, გ. ჩიჩუასა და წულუკიძის საქმე, მოიტანეს სამი ყუთი და კენჭები. ამ დროს ზოგიერთ სხვა დამნაშავეთა შესახებაც ჩამოვარდა ლაპარაკი, და ამიტომ სამს ყუთს ორი კიდევ მიუმატეს: ერთი ხუხუნია მიქელაძისა, მეორე — ყირიმ მიქელაძისა, ის იყო კენჭის ყრას უნდა შესდგომოდნენ, რომ ბ-ნმა ლ. ნ. ასათიანმა სიტყვა ითხოვა. ბ-ნმა ორატორმა ბრძანა: რამდე შუამდგომლობა გაგვიგზავნია მთავრობისათვის, და ყველა სათხოვარი უყურადღებოდ დაუტოვებია და ზოგ სათხოვარის გამო საყვედურიც-კი შემოუთვლიათო. ამის მიზეზი ის არის, რომ ზოგი სათხოვარი უადგილოა და ზოგი უსაბუთო და შეუფერებელი. ამიტომ შესაძლოა ერთხელვე და საბოლოოდ ბრძანოს მთავრობამ, რომ მაგ გვარს შუამდგომლობას ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობისას სრულიადაც ნუ მომახსენებთ ხოლმეო. ერთის სიტყვით ჩვენვე სახელს ვიტეხთ, ღირსებასა და პატივისცემას ვიმცირებთ და ვკარგავთ. ამიტომ საჭიროა, სანამ ვისმეზე შუამდგომლობას წარვადგენდეთ, გამოვიძიოთ, ვისთვის და რისთვის ვთხოულობთო. საქმის გარემოება თითოეულის მთხოვნელისა უნდა განვიხილოთ, შევისწავლოთ და თუ რომ ხელ ჩასაჭიდებელი აღმოვაჩინეთ, მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ მთავრობას, თორემ დაუსაბუთებელი თხოვნა, რომ ეს-და-ეს კაცი გვაჩუქეო, შეუძლებელია მთავრობამ შეიწყნაროს. რომ ჩვენს სათხოვრებს მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს და ტყუილ-უბრალოდ მთავრობას არ ვაწუხებდეთო, საჭიროა, მაგ გვარ საქმეებისათვის კომისია ამოვირჩიოთ, რათა მთხოვნელთა საქმე გამოიძიოს, შეისწავლოს და ყოველივე გარემოება კრებას დაწვრილებით მოახსენოს. კრებას მოეწონა ბ-ნ ასათიანის სიტყვა და კიდევაც დასთანხმდა კომისიის არჩევაზე.

ბ-ნმა კ. ლორთქიფანიძემ უპასუხა ლ. ასათიანს, რომ ეგ აზრი ყოვლად მოსაწონი და სასარგებლოა, ხოლო ამ გვარს შემთხვევათათვის კომისია სამუდამოდ დაინიშნოს, დღეს-კი მიქელაძეებისა, ჩიჩუასი და წულუკიძის საქმე უკომისიოდ უნდა გადაწყდესო, რადგანაც იმათ შესახებ კენჭის ყრა გუშინდელს სხდომაზე იყო დადგენილიო. კრებამაც კენჭი ჩამოატარა და კენჭითვე გადაწყვეტილ იქმნა, რომ თავად-აზნაურობამ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე იმ ხუთის კაცის შესახებ.

შემდეგ ბ-ნმა გუბერნიის მარშალმა, თავ. ს. გ. წერეთელმა, თავისი მოხსენება წაიკითხა მასზედ, რომ მთავრობამ გამოგვირკვიოს, თუ რა დანიშნულება უნდა მიეცეს იმ ფულს, რომელიც სამეგრელოს თავად-აზნაურებმა უნდა იხადონ (თავადმა 30 მან. და აზნაურმა 20 მან.) იმათ წოდებრივის ღირსება-უფლების ძიებისა და დამტკიცებისათვისო, და, თუ შესაძლოა, ისიც ვითხოვოთ, რომ ეგ ფული ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს დაეთმოს, რადგანაც სამეგრელოს თავად-აზნაურობის საქმე იმას აქვს მინდობილიო, თან საქმის საწარმოებლად და თან თავად-აზნაურთა სასარგებლოდაო. ეგ აზრი ყოველის მხრით საკმაოდ კარგად დასაბუთებული იყო და კრებამაც დაადგინა, ეგ შუამდგომლობა გაეგზავნოს მთავრობას. დასასრულ კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ მთავრობამ ინებოს და დააჩქაროს თავ. მიხეილ მიხეილის ძის შარვაშიძის საქმე სამემკვიდრო ადგილ-მამულის შესახებ. შემდეგი სხდომა მეორე დღისათვის გადაიდო.

ა. ნა—ლი

## წერილი რედაქციის მიმართ.

ხოსვაურის წმიდის გიორგის ეკლესიის „სტაროსტამ" დავით ჩავლეშვილმა თავისის ხარჯით შეღება ზემოდ მოხსენებული ეკლესია და დახარჯა სამოც-და ხუთი მანეთი; ხოლო შვილმა მისმა მიხეილ ჩავლეშვილმა შემოსწირა ამავე ეკლესიას ერთი კარგი შანდალი, ღირებული რვა მანეთად.

ზემოდ მოხსენებულის შემწირველობისათვის, როგორც კრებული ამავე ეკლესიისა, აგრეთვე მთელი მრევლი გულითადს მადლობას სწირავთ დავითს და მის შვილს მიხეილს ჩავლეშვილებს.

მღვდელი დიმიტრი ჯინჭარაძე.

# დეპეშა

### 11 მაისი

პეტერბურგი. ოფიციალურად. მემკვიდრე ცესარევიჩმა გაათავა თავისი მოგზაურობა ზღვით და დღეს, დილის 10 საათზე, მიბრძანდა ვლადივოსტოკში. ძლიერ მშვიდობიანს მოგზაურობას შემდეგ, მისი უმაღლესობა სრულიად კარგადა ბრძანდება. გემზედ ინახულა გენერალ-გუბერნატორი, ბარონი კორფი და წარჩინებულნი. ხვალ ხმელეთზე გამობრძანდება.

მოსკოვი. დღეს დიდის ამბით დაიწყო შუა-აზიის გამოფენა, რომელიც გამართულია საისტორიო მუზეის 12 დარბაზში. კომიტეტი გამოფენისა შესავალს კარებთან მიეგება მის უმაღლესობას მოსკოვის გენერალ გუბერნატორის მეუღლითურთ და თეთრის ვარდების თაიგული მიართვა. მიტროპოლიტმა პარაკლისი გარდაიხადა, რომელსაც დაესწრნენ: მათი უმაღლესობანი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯარების უფროსი, გუბერნატორი და მრავალნი სხვანი მოწვეულნი. გამოფენილ ნივთთა აიაზმით სხურებას შემდეგ მისმა უმაღლესობამ გენერალ-გუბერნატორმა დაწვრილებით დაათვალიერა გამოფენა. ექსპონენტი ასზე მეტია.

ბერლინი. აქაურს სამხატვრო გამოფენაზე რუსეთის განყოფილება ორშაბათს გაიმართება. სახელმწიფო გვარეულობის კაცთაგან 57 სურათი მიიღეს.

პარიჟი. აქ მობრძანდა დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე არაოფიციალურად.

პალერმო. ჯავშნიანის გემით „Адмиралъ Корниловъ“-ით დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს-ძე პირეის გაემგზავრა.

ბერლინი, ლონდონგან იუწყებიან, კირხენ-ლეგერში, განნოვერის მახლობლად, სახალხო მატარებელი საგანგებო მატარებელს დაეჯახა, რომელშიაც კარრეს ცირკში მოსამსახურენი და ცირკის ცხენები იყვნენ, სამი ვაგონი საგანგებო მატარებლისა ტენდერს დაეჯახა. ძემაშინე, კონდუქტორი, კონტროლიორი და კარრეს ცოლი და ქალი დაიხოცნენ; 20 კაცი ძლიერ დაშავებული, მცირედ დაშავებული ბევრნი არიან.

### 12 მაისი

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზედ 17 მარტის თარიღით: „თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ! ვუბრძანე რა, დაიწყონ მთელს ციმბირზე რკინის გზის გაყვანა, რომელმაც უნდა შეუერთოს ბუნების მიერ უხვად დაჯილდოვებული მხარენი ციმბირისა შიდა რუსეთის რკინის გზებს, მოგანდობთ თქვენ, გამოაცხადოთ ამ გვარი ჩემი სურვილი, როდესაც კვლავ მოხვალთ რუსეთის ქვეყანაში აღმოსავლეთის უცხო ქვეყანათა დათვალიერების შემდეგ. ამასთანავე გაკისრებთ თქვენ, პირდაპირის განკარგულებით უსურიის ოლქის მთავრობისა აკურთხებინოთ ვლადივოსტოკში დასაწყისი ციმბირის დიდის რკინის გზისა, რომლის გაყვანაც, სახელმწიფო ხარჯით, უკვე ნება-დართულია. ის მნიშვნელოვანი მონაწილეობა თქვენი ამ ჩემ მიერ განზრახულის ნამდვილ საეროსაქმის დაწყებაში ახალ საბუთად ჰყოს ღმერთმა იმისა, რომ მე სულითა და გულით ვისწრაფვი, გავუადვილო ციმბირს იმპერიის სხვა ნაწილებთან მიმოსვლა და მით დავუმტკიცო მაგ ჩემს საყვარელს მხარეს ცხოველი ჩემი ზრუნვა მისის საკეთილდღეო წარმატებისათვის. ვთხოვ უფალს, აკურთხოს თქვენი ხანგრძლივი მოგზაურობა რუსეთში. თქვენი ჭეშმარიტი მოსიყვარულე ალექსანდრე.

მემკვიდრე ცესარევიჩი დაინიშნა შეფად აღმოსავლეთ-ციმბირის პირველ „სტრელკოვიი“ ბატალიონისა.

უმაღლესი ბრძანება უმართებულესის სენატის მიმართ, 17 აპრილის თარიღით: „მსურს რა სახსოვრად ჩვენის საყვარელის შვილის მისვლისა ციმბირში, წყალობა აღმოვუჩინოთ სასამართლოთა განჩინების ძალით გაგზავნილთ, რომელნიც ამ ჟამად, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მისვლის დღესაც, ციმბირში სასჯელს იხდიან და წესისამებრ დასასახლებელსა და სამუშაო ადგილებს არიან განწესებულნი, ვბრძანებთ: 1) კატორგაში გაგზავნილთ, რომელნიც კარგის ყოფა-ქცევისა და საქმეზე მუყაითობისა გამო ღირსნი აღმოჩნდებიან შეღავათისა, სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილი ვადა კატორგაში ყოფნისა შეუმცირდეთ $^2/_3$ მდე და უვადო კატორგა შეეცვალოთ 20 წლის ვადის კატორგად. 2) მცირე-წლოვანებაში ჩადენილ დანაშაულობის გამო კატორგაში გაგზავნილნი არა ნაკლებ 4 ს წლის ვადით, ეხლავე ჩაირიცხნენ მხოლოდ გადასახლებულებად. 3) გადასახლებულთა და იმათ, ვინც კატორგის ვადის გათავების გამო უნდა გადასახლებულებლად ჩაირიცხნენ, თუ 4 წლის განმავლობაში კარგის ყოფაქცევისანი ყოფილან, კეთილად უშრომნიათ და ბინადრობა გაუჩენიათ, შეუმცირდეთ კანონიერი 10 წლის ვადა გადასახლებულთა გლეხებად ჩასარიცხად და 10 წელს შემდეგ მათის კარგის ყოფა-ქცევისა გამო გლეხებად ჩარიცხვისა, მიეცეთ ნება სურვილისამებრ საცხოვრებელ ადგილის ამორჩევისა ყველგან, გარდა სატახტო ქალაქებისა და გუბერნიებისა იმ პირობით, რომ 5 წლის განმავლობაში ადგილობრივის პოლიციის მხედველობის ქვეშ იყვნენ, გარნა ყოველ გვარ უფლება ახდილის მაგიერ იგინი ნი უნდა ირიცხებოდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ უფლება ახდილებად სასჯ. დებ. მე-43 მუხლის ძალით. 4) ციმბირში საცხოვრებლად გაგზავნილთ 15 წელს შემდეგ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლისა, მიეცეთ ნება სურვილისამებრ საცხოვრებელ ადგილის ამორჩევისა ყველგან, გარდა სატახტო ქალაქებისა დ გუბერნიებისა, მხოლოდ კანონით ახდილ უფლებათა დაუბრუნებლად; 5) გაგზავნილთ, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ 1883 წ. 15 მაისამდე და რომელთაც უკვე მიენიჭათ წყალობა ჩვენის წმ. გვირგვინის კურთხევის დღეს გამოცხადებულის უმაღლესის მანიფესტის ძალით (მუხლი 1, 3 და 4 ამ ბრძანებისა) იმას გარდა მიენიჭოთ კიდევ შემდეგი შეღავათიც: ა) კატორგაში გაგზავნილი შეუმცირდეთ ვადა ერთის წლით, ბ) დასასახლებლად გაგზავნილნი, რომელთაც უკვე მოუპოვებიათ უფლება გლეხებად ჩარიცხვისა, მიეცეთ ნება, მიეწერნენ ციმბირის ქალაქებს, თუ თვით ქალაქი ნებას დართავს, ხოლო არ შეეძლოთ-კი, გადმოსცილდნენ ევროპის რუსეთის საზღვრებს, ვიდრე ამის ნებას არ მიიღებენ იმ წესით, რომელიც ზემოხსენებულს მანიფესტშია გამოცხადებული; გ) ციმბირის გუბერნიებში საცხოვრებლად გაგზავნილთ, მათს გადასახლებისაგან განთავისუფლებას შემდეგ, ხსენებულის მანიფესტის ძალით, ნება მიეცეთ ხოლმე, აიღონ ბილეთები აღუნიშნელად იმისა, რომ „გადასახლებულთაგანნი და გასამართლებულნი“ არიან და აგრეთვე უწითელ ასოებოდ ნიშნად მათის უფლება ახდილობისა. დ) მაწანწალობის გამო ციმბირში დასაბინადრებლად გაგზავნილნი, ვინიცობაა შეუძყრობილ იქმნა მათი წოდება, შემდეგ სასამართლოს მიერ ამის შემოწმებისა, განთავისუფლებულ იყვნენ, ხოლო ჩვენის გვირგვინის წმ. კურთხევის შემდეგ გაგზავნილთ-კი აღეკრძალოთ ცხოვრება სატახტო ქალაქებსა და გუბერნიებში. ამა ბრძანების 1, 3 და 5 მუხლში მოხსენებულ შეღავათების მინიჭებას დამნაშავეთათვის მივანდობთ, კუთვნილებისამებრ, შინაგან საქმეთა მინისტროს და გენერალ-გუბერნატორებს ირკუტსკისასა და ამურის მახრისას, თუ იგინი დარწმუნდებიან რომ გაგზავნილნი სასჯელში ყოფნის დროს კარგის ყოფა-ქცევისანი ყოფილან.

მოსკოვი. გამოცხადებულია, 15 მაისს შეუძლიანთ მსურველთ სასახლეში მისვლა იმას გამო, რომ მოელიან მათის იმპერატორებითის უმაღლესობის მობრძანებას.

პარიჟი. პალატამ შეიწყნარა წინადადება ვიქესი, შეამციროს სხვა ქვეყნებიდამ მოტანილს პურზე გარდასადი 3 ფრანკამდე და დაადგინა, რომ ეს კანონი იმუშავებს 1891 წ. აგვისტოს 1-დამ 1892 წ. ივნისის პირველამდეო.

### 13 მაისი

პეტერბურგი. როგორც გაზეთები ამბობენ 29 ივნის მწვალებელთა წინაამდეგ მისიონერთა მეორე კრებაა მოწოდებულიო.

სიმფეროპოლი. რამდენიმე აქაური შეძლებული ებრაელი ძიემგზავრებიან პალესტინას, რომ ყირიმელ ებრაელთა დასასახლებლად ადგილი აირჩიონ.

პარიჟი. პალატამ შეიწყნარა ხორბალზე სადამოჟნო გარდასახადის შემცირება 3 ფრანკამდე, ხოლო ფქვილზე 6 ფრანკამდე 1—13 მარიამობისთვიდამ მოკიდებული ვიდრე ივნისამდე 1892 წლისა.

შეცდომის გასწორება: წარსულს დეპეშაში მოსკოვიდამ დაწერილი იყო: „მათ იმპერატორებითი უმაღლესობის მობრძანების გამო“ უნდა იყოს: „მათ იმპერატორებითი უდიდებულესობის“.

## პეტერბურგის ბირჟა 7 მაისს

| | მყიდველები ჰყავს. | გამყიდველები ჰყავს. | გარიგდა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 76 | 6 73 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 134½ | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 242½ | — „ | — „ |
| —მეორისა | 222 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 213 | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 101 62 | — „ | 101 55 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ხდომის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით. საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამის შორის გზით.

პარასკეობით. დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით. დილით სტამბოლიდამ ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმას შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელს გემებს,

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით რაკი გემოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტოდ დასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უვან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

◆◆


# განცხადებანი

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც-კი მოეპოვება ხელ-ნაწერი საბა ორბელიანის ნაწ. „სიბრძნე-სიცრუე“, გამოუგზავნოს ამხანაგობის ხარჯით გამგეობას, შესადარებლად ერთმანეთთან, რათა გამოცემა ზემოხსენებულის ნაწერებისა ამხანაგობის ხმიერ განზრახული, სრული იყოს, შესწორებული, შენიშვნებით და სხ. შემდეგ დაბეჭდვისა ხელნაწერები დაუბრუნდებათ პატრონთ ამხანაგობისავე ხარჯით.

ადრესი: Тифлисъ, Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (5—4)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—39)

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ნაკვთები

დ. ერისთავისა

ფასი 50 კაპ.

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„უახველის“

ავლ-ბალახიანი ძალღ ექსტრაქტი და კამფეტები

. ბ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჰლირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

ვ. აიურიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, $^{18}/_{19}$.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში. (16—16)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პ. ტარასახ

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

# ტფილისის საქალაქო გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 4 ივნისს ამა 1891 წლისას დღის 12 საათზედ 1,985 ქუჩის ფარნის ნავთით განათების იჯარით გაცემა მოხდება, 4 ივნისიდამ მოკიდებული ორის წლის ვადით. პირობათა შეტყობა ამ საქმის შესახებ შეიძლება გამგეობის კანცელარიაში, უქმესა და დღესასწაულებს გარდა, ყოველ დღე.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი კ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. [illegible]ბინაშვილისა სამივე ნაწ[illegible]ი . . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . . | 1 | „ |
| [illegible]ამძღვარი ზეცისა. . . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კატობრივი . . . . | 1 | „ |
| ბრძე[illegible] . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. ყდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბიჩინისა ოცდა შვიდი სურათით . . . . . | 10 | „ |
| Книга Калалаh и Диманаh или сборникъ Басенъ известныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Белокурова . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Белокурова . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს ტფილისში უძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამ 1891 წლის 15 აპრილისთვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია უძრავ-ქონებათა გადასახადის გაწერის თაობაზე. ეს გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო საბჭოს 1887 წლის 15 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად.

1891 წ. დასაფასებელს სიაში შეტანილი ქ. ტფილისის უძრავ მამულების ღირსებულება, იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გადაწყვეტილია 33,061,465 მან. და ამავე 1891 წ. ახალი გასანაწილებელი დამტკიცებული ჯამი არის 46,618 მან. 26 კ., მაშასადამე ამ ახალის გადასახადის რაოდენობა იქნება:

| დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასადადი. | | დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | |
|---|---|---|---|---|---|
| მან. | მან. | კაპ. | მან. | მან. | კაპ. |
| 100.000 | 141 | 00 | 900 | 1 | 27 |
| 80.000 | 112 | 80 | 700 | — | 99 |
| 50.000 | 70 | 50 | 500 | — | 71 |
| 30.000 | 42 | 30 | 300 | — | 42 |
| 15.000 | 21 | 15 | 100 | — | 14 |
| 10.000 | 14 | 10 | 80 | — | 11 |
| 8.000 | 11 | 28 | 50 | — | 07 |
| 6.000 | 8 | 46 | 40 | — | 06 |
| 4.000 | 5 | 64 | 30 | — | 04 |
| 2.000 | 2 | 82 | 10 | — | 01 |
| 1.000 | 1 | 41 | 5 | — | 01 |

მაგალითი: ამ გვარად, 8,745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გადასახადი—12 მან, 34 კაპ. (8000 მან.—11 მან. 28 კ., 700 მ.—99 კ., 40 მ.—06 და 5 მ.— 01 კაპ. სულ. 12 მან. 34 კ.); 56,635 მან. დაფასებულს მამულს—79 მ. 86 კ., (70 მ. 50 კ.+8 მ. 46 კ.+85 კ.+04+01 კ.=79 მ. 86 კ.), ე. ი. ახალი გადასახადი ცოტათი ნაკლებია ქალაქის დასაფასებელ გასახადის 1/5 ზედ.

უძრავ მამულების ახალ გადასახადსა და ქალაქის დასაფასებელს გადასახადს შორის ის განსხვავებაა, რომ ახალი გადასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მყოფს ცარიელ მიწებს, რომელიც არავითარს შემოსავალს არ იძლევა (მიმართულება იმ მიჯნისა, რომელიც ქ. ტფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის განაპირა მიწებისაგან, ნაჩვენებია დაწვრილებით 1889 წ. გაზეთ „კავკაზის“ 114 № ში).

2) იმ მცირე ფასიანს მამულებს, რომელსაც გადასახადი 25 კაპ. ნაკლები შეხვდება (გასანაწილებელის სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე მამულისა ამ 1891 წ.—185 მ.),

3) იმ სახელმწიფო მამულებს, რომელსაც შემოსავალი შემოაქვს.

რადგან ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა უმაღლესად დაკმაყოფილებულ იქმნა შესახებ 1888 წ. გადასახადის ნაწილ-ნაწილად გადახდისა ხუთის წლის განმავლობაში, ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: უძრავ ქონებათა ბატრონებს გამოერთვათ წელსაც როგორც შარშან იყო, მეორე მეხუთედი 1888 წ. გადასახადისა, გარდა იმ პირებისა, რომელნიც ან აგირავებენ, ან ჰყიდიან თავიანთს მამულებსა.

უფრო დაწვრილებითი ცნობის შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სადაც ერთის თვის განმავლობაში განცხადების დაბეჭდვიდამ „კავკაზში“ მიღებული იქნება თხოვნა იმ მემამულეთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არ არიან.

ვადის ერთის თვის გასვლის შემდეგ ქალაქის გამგეობა განაწილებულს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ-ქონებათა პატრონთა თხოვნას გადასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს, დამტკიცდება თუ არა განაწილებული სია საბჭოსაგან, ქალაქის გამგეობა დაუყოვნებლივ დაურიგებს უძრავ-ქონებათა პატრონებს ფურცელთ, რომელშიაც საბოლოოდ იქნება აღნიშნული, თუ რომელს ქონებას რა გადასახადი გაეწერა: 1—1


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . . „ 30
2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა . „ 30
3) ლენტის მსგავსნი ქიები ი. თ. . . . . . . . „ 5
4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ წიგნი I. „ 30
5) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . „ 75
6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . „ 80
7) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . 1 25
8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . „ 15
9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . „ 25
10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . „ 20
11) „წყალობა“ პოემა მისივე. . . . . . . „ 20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . „ 40
12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . „ 30
13) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . „ 15
14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . 1 „
15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . „ 50
16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . „ 50
17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . „ 60
18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . „ 15
19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. 1 „
20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣишимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . 3 50
21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . „ 75
22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . „ 80
23) იგივე უყდო . . . . . . . . . „ 60
24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . „ 70
25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა „ 20
26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . „ 20
27) „ძეგლის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა „ 25
28) „ივანანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . „ 10
29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . „ 20
30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . „ 40
31) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . „ 5
32) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . „ 5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: *Тифлисъ.* Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.


Доз. Цен. Тифлисъ, 13-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.